# გაზის თვითანთებადი კონვექციური გამათბობლები

## მომხმარებლის სახელმძღვანელო

**EHS 12000 K - EHS 12000 KC**
**EHS 9000 K - EHS 9000 KC**
**EHS 5000 K**
**EHS 4000 K**

2195

## სარჩევი

**გამორჩეული მომხმარებელი** .......... **2**

**შესაბამისობის დეკლარაცია** .......... **2**

**გაზის მიწოდება** .......... **2**

1. ბუნებრივი აირისთვის 2
2. თხევადი გაზისთვის 2

**აწყობის ინსტრუქცია** .......... **2**

გამათბობელის აწყობა 4

**მონტაჟის კონტროლი** .......... **6**

**გამათბობელის აწყობა** .......... **6**

გარდაქმნა 6

**სამუშაო ინსტრუქციები** .......... **7**

მნიშვნელოვანი თემები 7
გამათბობელის მუშაობა 7
პილოტის ანთება 7

**გაწმენდა და შენარჩუნება** .......... **8**

შენარჩუნება: 8
ყოველკვირეული პროცედურები 8
ყოველწლიური პროცედურები 8

**ტექნიკური მახასიათებლები** .......... **8**

**სავარაუდო წუნი, გამომწვევი მიზეზები და გადაჭრის გზები** .......... **9**

**CE სერთიფიკატი** .......... **10**

მოწყობილობა უნდა დამონტაჟდეს ძალაში მყოფი კანონების მიხედვით და გამოყენებულ იქნას სათანადოდ განიავებად ადგილას. დამონტაჟებამდე გაეცანით ამ მოწყობილობის ინსტრუქციებსა და გამოყენების წესებს.

## გამორჩეული მომხმარებელი

სიამაყით წარმოგიდგენთ შესანიშნავ ჰაერის ჰერმეტულ გამათბობელს, რომელიც მისი ეკონომიურობის, თანამედროვე და ელეგანტური დიზაინის, პრაქტიკული ზომის წყალობით შეგიძლიათ გამოიყენოთ სახლის, სამსახურის ან სხვა დახურული სივრცის ნებისმიერ წერტილში. იგი უზრუნველყოფს ბუნებრივი ან თხევადი გაზის გამოყენებას “ERSEL”-ის უსაფრთხოებასთან ერთად. მას თავის კონკურენტებთან შედარებით ახასიათებს ნაკლები დანახარჯი და მაღალეფექტურობა.
ამ მოწყობილობასა და მომხმარებლის სახელმძღვანელოს გაცნობთ იმისათვის, რომ გამათბობელი წლების მანძილზე უპრობლემოდ გამოიყენოთ. გირჩევთ, მის დამონტაჟებამდე და გამოყენებამდე გაეცნოთ ინსტრუქციას. მშვიდობაში მოიხმარეთ.

## შესაბამისობის დეკლარაცია

შესაბამისობის დეკლარაცია
(გაზის მოწყობილობების დირექტივა 2016/426/EU)

ჩვენი კომპანია აცხადებს, რომ იგი პასუხისმგებელია ქვემოთ მოცემული მოწყობილობის აგებაზე, წარმოებაზე, შემოწმებასა და ტესტირებაზე, როგორც ამას გაზზე მომუშავე მოწყობილობების დირექტივა 2016/426/EU-ის შესაბამისი პუნქტები მოითხოვს

**პროდუქტის დეტალები**

| | |
|---|---|
| **მწარმოებელი** | : Ersel Isıtma Enerji Sistemleri Ve Ekipmanları Ev Ve Büro Gereçleri Sanayi Ve Ticaret Limited Şirketi |
| **მისამართი** | : Organize San. Bölgesi 20.Cad. No:66 Kayseri / Turkiye |
| **პროდუქტი** | : გაზის თვითანთებადი კონვექციური გამათბობლები |
| **სასაქონლო ნიშნის** | : Fujiyama / Ersel |
| **ტიპი** | : C11, B11BS |
| **უფლებამოსილი ორგანო / საიდენტიფიკაციო ნომერი:** | : SZUTEST UYGUNLUK DEĞERLENDİRME A.Ş - 2195 |
| **მოდული B სერთიფიკატის ნომერი** | : 2195 – GAR – 2033901 |
| **მოდული C2 სერთიფიკატის ნომერი** | : 2195 – GAR - 2035001 |
| **გამოყენებული სტანდარტები** | : EN 613:2002/A1:2006, EN 437:2018 |

ERSEL
ISITMA ENERJİ SİSTEMLERİ VE EKİPMANLARI
EV VE BÜRO GEREÇLERİ SAN. VE TİC. LTD. ŞTİ.
Organize Sanayi Bölgesi ... KAYSERİ
Tel: 322 12 00 (3 Hat) M.Sinan V.D. 368 004 9606

## გაზის მიწოდება

**1. ბუნებრივი აირისთვის**

- ბუნებრივი აირის მიერთებამდე გთხოვთ, მიმართოთ ბუნებრივი აირის ადგილობრივ მომწოდებელს, რომლებიც მოგამზადებენ და დაეთანხმებიან ბუნებრივი აირის გაყვანის პროექტს.
- სითბოსა და მონტაჟს შორის სისტემური კავშირი უნდა დამყარდეს ბუნებრივი აირის ამჟამინდელი ნორმების მიხედვით.
- გამათბობელი მონტაჟდება ბუნებრივი აირის შესაბამისად (მეთანი); გთხოვთ, არ გამოიყენოთ სხვა ტიპის აირი
- გაზის მიწოდებისთვის, გთხოვთ, გამოიყენოთ მეტალის ან დრეკადი მილი, რომელიც სამაგრებით იქნება დაფიქსირებული და შესაბამისი იქნება CE-ნორმებთან.

შენიშვნა: ყველა გამათბობელი მოწოდებულია ბუნებრივი აირის გამოყენებისთვის მზა მდგომარეობაში. როდესაც გსურთ ბუნებრივი აირის ჩანაცვლება თხევადი გაზით, გთხოვთ, მიმართოთ შესაბამის ავტორიზებულ სამსახურს.

**2. თხევადი გაზისთვის**

- უმჯობესია გამოყენებულ იქნას 300 mmSS რეგულატორი (2კგ). არასდროს გამოიყენოთ ინდუსტრიული რეგულატორი PVC მილი, რომელიც მონტაჟდება გაზის ცილინდრსა და გამათბობელს შორის. მისი სიგრძე არ უნდა იყოს 125 სანტიმეტრზე მეტი. გთხოვთ, დაამოკლეთ მილის ბოლოები და დააფიქსირეთ მეტალის სამაგრებით. არასდროს გამოიყენოთ გაზის ცილინდრი ჰორიზონტალურ ან ამობრუნებულ მდგომარეობაში.
- გთხოვთ, არ გამოიყენოთ გაზის დაზიანებული ცილინდრი და შეცვალეთ იგი ახლით.

## აწყობის ინსტრუქცია

•ხარჯები, რომლებიც მონტაჟისა და აწყობის შედეგადაა გამოწვეული, მომხმარებელს ეკუთვნის
•დამონტაჟებამდე დარწმუნდით, რომ გაზის განაწილების ადგილობრივი პირობები (გაზის ტიპისა და წნევის იდენტიფიკაცია) დაცულია
•ბუნებრივ გაზზე მომუშავე გამათბობელი უნდა აიწყოს ავტორიზებული პირების მიერ, რომლებსაც შეუძლიათ

- ბუნებრივი გაზისთვის გაზომეთ გაზის წნევა აწყობამდე. ტესტის პროცედურა არ უნდა აღემატებოდეს 50 ერთეულს გაზის სარქველის უსაფრთხოებისთვის
- ბუნებრივი აირიდან თხევად აირზე გადაყვანა უნდა მოხდეს ავტორიზებული სამსახურის ან პიროვნებების მიერ. სხვა შემთხვევაში გამათბობელზე აღარ გავრცელდება გარანტია. არ დაუშვათ, ბუნებრივი გაზიდან კონვერტაციამ გამოიწვიოს აღნიშნული ფაქტი. ეს ჩვენი პასუხისმგებლობის სფეროს სცდება.

თქვენი გამათბობელის დამონტაჟებისას გასათვალისწინებელი გარემოებები

- გამათბობელი უნდა დაყენდეს ისე, რომ არ იწვევდეს იატაკის, თაროების, კედლების გადახურებას ან სხვა შემთხვევაში ისინი აგებულ უნდა იქნას არა-აალებადი მასალით.
- არ დაამონტაჟოთ გამათბობელი ნესტიან ან წყლიან ადგილას
- ეს მოწყობილობები უნდა დამონტაჟდეს ამჟამად მოქმედი რეგულაციების მიხედვით და გამოყენებულ იქნას მხოლოდ კარგად ვენტილირებად ადგილას. მოწყობილობის დამონტაჟებამდე და გამოყენებამდე გაეცანით ინსტრუქციას.

ა. მინიმალური სივრცე საკვამურის გარეთ (ნაჩვენებია ფოტოებზე);

- აივნამდე და გარაჟამდე დატოვებული სივრცე - მინიმუმ 600 მმ.
- ასაწევ ფანჯრამდე დატოვებული სივრცე - 300 მმ
- თუთიის, პლასტმასის, მიწის არხებისა და მილებამდე დატოვებული სივრცე - 600 მმ
- ჰორიზონტალური სივრცე საკვამურიდან 600 მილიმეტრია, ხოლო ვერტიკალური სივრცე - 1500 მმ.

ბ. მინიმალური დისტანცია დახურულ სივრცეში

- მარცხენა კედლამდე დისტანცია - 400 მმ
- მარჯვენა კედლამდე დისტანცია - 200 მმ
- ფარდა არ უნდა იყოს გამათბობელთან ახლოს მის წინა მხარეს. ფარდისა და გამათბობელის სიმაღლეებს შორის დაშორება უნდა იყოს დაახლოებით 300 მმ.
- თუ გამათბობელი დამონტაჟდა თაროს ქვეშ, დისტანცია უნდა იყოს 300 მმ.




სურათი 1




სურათი 2.2




სურათი 2.2

| | პოზიცია | მინიმალური დაშორება | |
|---|---|---|---|
| ა | გაღებადი ფანჯრის, ჰაერის ან სხვა ტიპის სავენტილაციო ღიობის ქვეშ | 300 მმ | 12 ინჩი |
| ბ | სადინარის ქვემოთ, მიწის/დრენაჟის მილთან | 75 მმ | 3 ინჩი |
| გ | ლავგარდანის ქვეშ | 200 მმ | 8 ინჩი |
| დ | დაშორება აივნამდე | 200 მმ | 8 ინჩი |
| ე | ვერტიკალური სადრენაჟე და ნიადაგის მილებიდან | 75 მმ | 3 ინჩი |
| ვ | შიდა ან გარე კუთხეებიდან | 300 მმ | 12 ინჩი |
| ზ | მოსაზღვრე მიწიდან ან აივნის დონიდან | 300 მმ | 12 ინჩი |
| თ | ტერმინალის საპირისპიროდ მდებარე ზედაპირიდან | 600 მმ | 24 ინჩი |
| ი | ტერმინალების საპირისპიროდ | 1200 მმ | 48 ინჩი |
| კ | ღიობიდან (კარის ფანჯარა) | 1200 მმ | 48 ინჩი |
| ლ | ტერმინალიდან ვერტიკალურად ამავე კედელზე | 1500 მმ | 60 ინჩი |
| მ | ტერმინალიდან ჰორიზონტალურად ამავე კედელზე | 300 მმ | 12 ინჩი |
| ნ | ღიობამდე მოსაზღვრედ | 300 მმ | 12 ინჩი |
| ო | მანქანის დასაყენებელი ადგილის ქვემოთ | 600 მმ | 24 ინჩი |

**გამათბობელის აწყობა**

- ფრთხილად ამოიღეთ გამათბობელი შეფუთვიდან
- მოხსენით 2 სატრანსპორტო ჭანჭიკი, რომლებიც მოთუთიებულ შავ ზედაპირზე მდებარეობს, როგორც ეს მოცემულია მესამე სურათზე
- მოაშორეთ 2 სამაგრი უკანა ქვედა ნაწილიდან (ჭანჭიკების გამოყენება შეუძლებელია მათი მოხსნის შემდეგ)
- საკვამურის ალჭურვილობა და მაკავშირებელი ელემენტები სხვა ყუთში დევს. ამოიღეთ საკვამურის ალჭურვილობა ყუთიდან
- მიამაგრეთ ზედმეტი აირის გამოსაყოფი მილი გაზის მოწყობილობას ისე, რომ არ მოხსნათ იგი ალჭურვილობიდან.
- შემდეგ მიამაგრეთ საკვამურის ალჭურვილობის ნაწილები ხვრელებზე (სურათი 4) დამწვარი აირის გამოსაშვებ მილში ისე, რომ ისინი ერთმანეთს ერგებოდნენ.
- დააყენეთ ბუხრის თვალი კედელზე ისე, რომ გამათბობელი შესაბამისად ჩაჯდეს მესამე სურათზე მოცემულ განზომილებებში
- გამათბობელში ჩამონტაჟებული საკვამურის ალჭურვილობის სისტემა მორგეთ კედლის ხვრელს
- მიაწექით გარე მიმართულებით გამათბობელთან ერთად მანამ, სანამ დაახლოებით 15 სანტიმეტრი არ დარჩება გამათბობელსა და კედელს შორის.
- ან დააყენეთ გამონაბოლქვი აირის უსაფრთხოების გალია, რომელიც მოცემულია მეორე სურათზე, რამდენადაც მისი მთლიანი მოცულობა რჩება გარეთ (გალია მთლიანად გარეთ უნდა იყოს კედლის სისქის მიუხედავად)
- მას შემდეგ, რაც გამათბობელს მიამაგრებთ საკვამურის მაკონტროლებელ წერილებს,
- სიმჭიდროვე მოწოდებული იქნება კედელსა და მილს შორის სივრცის დაბლოკვით ისეთი მასალის დახმარებით, როგორიცაა მაგალითად თაბაშირ-მუყაო და ა.შ.
- გამათბობელის ღიობები განსაზღვრულია ჩვენი ავტორიზებული სამსახურის მიერ.



სურათი 3




სურათი 4




სურათი 5

| | A | B | C | D | E | F | G | H | I | J |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| EHS 12000 | 1030 | 580 | 265 | 315 | 520 | 45 | 485 | 980 | 90 | 250 |
| EHS 9000 | 770 | 580 | 265 | 270 | 420 | 45 | 485 | 725 | 90 | 210 |
| EHS 5000 | 770 | 525 | 225 | 330 | 400 | 50 | 460 | 720 | 65 | 210 |
| EHS 4000 | 620 | 525 | 225 | 335 | 355 | 50 | 485 | 570 | 65 | 210 |

## მონტაჟის კონტროლი

- მონტაჟისას ყურადღება მიაქციეთ სიმჭიდროვეს
- შეამოწმეთ აირის სიმჭიდროვე აირის გაჟონვის მაკონტროლებლით ან საპნის ქაფით
- არ შეამოწმოთ გაჟონვა ცეცხლის საშუალებით (ასანთი, სანთებელა და ა.შ)

## გამათბობელის აწყობა

გამათბობელზე წვის პარამეტრი სრულდება ბუნებრივ გაზზე და ქარხნულად მზადდება, ასე რომ, ნუ შეცვლით ამ პარამეტრს. თქვენი გამათბობელის დარეგულირება არ მოიცავს სხვა აირებს, რომლებიც მოცემულია სახელმძღვანელოში. არ გამოიყენოთ სხვა ტიპის აირები. ქვემოთ მოცემული სურათი გვიჩვენებს მხოლოდ ავტორიზებული მომსახურების მოთხოვნებისთვის განკუთვნილ მითითებებს.




სურათი 6

| | გაზის ტიპი | G30 | G31 | G20 |
|---|---|---|---|---|
| პროდუქტები | წნევა | 30 mbar | 37 mbar | 20 mbar |
| EHS 4000 | ინჟექტორი | 1,10 მმ | 1,10 მმ | 1,90 მმ |
| | წვის მექანიზმი | 28 mbar | 28 mbar | 9,5 mbar |
| EHS 5000 | ინჟექტორი | 1,20 მმ | 1,20 მმ | 2,0 მმ |
| | წვის მექანიზმი | 29 mbar | 29 mbar | 10,5 mbar |
| EHS 9000 | ინჟექტორი | 1.5 მმ | 1.5 მმ | 2.3 მმ |
| | წვის მექანიზმი | 19 mbar | 24 mbar | 15 mbar |
| EHS 12000 | წნევა | 1.74 მმ | 1.74 მმ | 2.8 მმ |
| | წვის მექანიზმის წნევა | 17 mbar | 23 mbar | 13 mbar |

**გარდაქმნა**

- ჩვენი გამათბობელის მუშაობისთვის ყველანაირი გაზის შემთხვევაში საჭიროა, რომ ინჟექტორი შესაბამისი დიამეტრით იყოს გამოყენებულ გაზის ჯგუფთან მიმართებაში. გაზის ტიპის მიხედვით, ინჟექტორი ირჩევა ცხრილის მიხედვით და უერთდება გამათბობელის საწვავ წერტილს.
- ინჟექტორის შესაცვლელად, პირველ რიგში უნდა მოიხსნას გამათბობელის კორპუსი, როგორც ეს პირველ სურათზეა ნაჩვენები; შემდეგ უნდა მოიხსნას ინჟექტორი სურათის მიხედვით. გამოყენებული გაზისთვის ინჟექტორის შესაბამისი დიამეტრი კონკრეტულ ქვეყანაში ირჩევა და მიემაგრება გამათბობელს. შემდეგ, საწვავ წერტილთან დაკავშირებული მილი უერთდება ინჟექტორს. გამათბობელის აწყობის პროცესის დასრულების შემდეგ, მოწმდება აირის გაყვანილობა ქაფიანი წყლის ან გაჟონვის დეტექტორი მოწყობილობის დახმარებით.
- ფითილი მაშინვე უნდა აინთოს და ალი უნდა გადაეცეს წვის ადგილის მთელ სიგრძეს. ალი არ უნდა მოშორდეს და აიწიოს ზედაპირიდან.
- არასდროს შეცვალოთ მითითებული პარამეტრები
- აირის შეცვლის მოთხოვნისას დაუკავშირდით ადგილობრივ ავტორიზებულ სამსახურს
- ავტორიზებული სამსახური დაარეგულირებს შიდა წნევას ქანჩის საშუალებით
- თუ ქანჩს საათის ისრის მიმართულებით გადაატრიალებთ, გაზის წნევა გაიზრდება
- თუ ქანჩს საათის ისრის მიმართულების საპირისპიროდ გადაატრიალებთ, გაზის წნევა შემცირდება.
- გაზის წნევა უნდა გაიზომოს მანომეტრით ან წნევის ციფრული საზომით
- მიაერთეთ მანომეტრის მილი წნევის საზომი წერტილის სარქველს




სურათი 7

## სამუშაო ინსტრუქციები

**მნიშვნელოვანი თემები**

- ბუნებრივი და თხევადი გაზების ცვალებადობა გამათბობელში უნდა შესრულდეს ავტორიზებული სამსახურის მიერ
- თქვენი გამათბობელის პარამეტრები მოცემულია მონაცემთა დაფაზე
- დარწმუნდით, რომ თქვენი გამათბობელი შესაბამისობაშია გამოყენებულ აირთან
- არასდროს გამოიყენოთ გამათბობელი იმ შემთხვევაში, თუ საკვამლე სისტემა არ არის აწყობილი
- არ გამოიყენოთ გამათბობელი იმ შემთხვევაში, თუ წინა კარის მინა ან პანელი გატყდა ან ღიაა.
- არ დატოვოთ ბავშვები მარტო მომუშავე გამათბობელთან ან დაიცავით დისტანცია 1.5 მეტრის მანძილზე იმისათვის, რომ ბავშვები არ შეეხონ ცხელ ზედაპირს. გაცნობებთ, რომ ჩვენი გამათბობლის სამუშაო ზონაა 1.5 კვადრატული მეტრი.
- ფარდები არ უნდა განთავსდეს მოწყობილობის ზემოთ 600 მილიმეტრზე ნაკლები მანძილის დისტანციით
- არ დაფაროთ გამათბობლის რომელიმე მხარე პირსახოცით, ტანსაცმლით, საბნით და ა.შ.
- არ სცადოთ გამათბობლის ანთება ასანთით ან სანთებელით. გამოიყენეთ შესაბამისი ღილაკი
- თუ ოთახში გრძნობთ სუნს ან თავი აგტკივდათ, გამორთეთ გამათბობელი და გაანიავეთ ოთახი.
- გამათბობლის ბოლომდე გამოსართავად გადაკეტეთ გაზის შესასვლელი არხი ან გაზის ცილინდრი.
- ჰაერი ოთახში, სადაც გამათბობელი მუშაობს უნდა ნიავდებოდეს 2-3-ჯერ დღეში რათა გაიზარდოს ჟანგბადის ოდენობა

**თქვენი უსაფრთხოებისთვის**

არ გამოიყენოთ გამათბობელი იმ სივრცეში, სადაც საწვავი ან სხვა აალებადი სითხეები ინახება ან გამოიყენება

**შენიშვნა:** გამოყენებამდე წაიკითხეთ და გაეცანით ყველა გაფრთხილებასა და ინსტრუქციას. ოპერატორმა ეს ინსტრუქციები სამომავლო გამოყენებისთვის უნდა შეინახოს

ინსტრუქციები მხოლოდ მაშინაა ძალაში, თუ გამათბობელზე აღინიშნება ამ კონკრეტული ქვეყნის კოდი. თუ კოდი მოწყობილობაზე არ არის, საჭიროა გაეცნოთ ტექნიკურ ინსტრუქციებს, რითიც მიიღებთ მოწყობილობის მონტაჟისა და გამოყენების შესახებ ინფორმაციას კონკრეტული ქვეყნისთვის.

**გამათბობელის მუშაობა**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ღილაკის მდებარეობა თერმოსტატში | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| ოთახის ტემპერატურა (გრადუს ცელსიუსი (დაახლოებით) | 13 | 17 | 20 | 24 | 30 | 33 | 38 |




თერმოსტატის ღილაკის მდგომარეობები

- ● : დაკეტილი
- ★ : აალება
- 1 : მინიმალური სითბო
- 2-6 : თერმოსტატის რეგულირების წერტილი
- 7 : მაქსიმალური სითბო

**პილოტის ანთება**

- ჩართეთ გაზის შესასვლელი სისტემიდან ან გაზის ცილინდრიდან
- ასანთებად ან პილოტის რეჟიმში გამოიყენეთ თერმოსტატის ღილაკი ✸
- დააწექით ღილაკს ქვედა მიმართულებით და ამავდროულად დააწექით ანთების ღილაკს ( ) რამდენჯერმე
- განაგრძეთ აღნიშნული ქმედება მანამ, სანამ ცეცხლი არ გაღვივდება
- როდესაც ფითილი აინთება მას შემდეგ, რაც თერმოსტატის ღილაკს დააჭერთ 10-15 წამის მანძილზე, პილოტიც აინთება მაშინ, როცა ღილაკს ხელს აუშვებთ. თუ ალი ჩაქრა, გაიმეორეთ ეს ოპერაცია თავიდან.

**შენიშვნა:** იგი გვიან ინთება, რადგან გამათბობელის შიგნით ჰაერი გროვდება.

•მას შემდეგ, რაც ცეცხლი აინთება, გადაატრიალეთ ღილაკი საათის ისრის მიმართულებით.
•შეგიძლიათ გამათბობელი იმ დონეზე გააცხელოთ, როგორც გსურთ, რასაც მოახერხებთ დონეების (1-2-3-4-5-6-7) ცვალებადობის საშუალებით. როდესაც გარემო ტემპერატურა მიაღწევს იმ დონეზე, რომელიც მიუთითეთ, ალის ნაწილი ქრება, ხოლო როდესაც გარემო ტემპერატურა ეცემა, ჩამქრალი ნაწილი ავტომატურად აინთება. თუ გამათბობელი რაიმე მიზეზით ჩაქრება, თერმოსტატის ღილაკი დააყენეთ „0" პოზიციაზე.
**შენიშვნა:** მას შემდეგ, რაც აანთებთ გამათბობელს და გამორთავთ თერმოსტატის ღილაკს ფითილის ჩათვლით, გაიმეორეთ ეს 2-3 წუთის მოცდის შემდეგ. თუ გსურთ მისი ანთება მანამდე, ის არ დაიწყებს წვას რადგან უსაფრთხოების სისტემაა ჩართული. ეს არ წარმოადგენს დეფექტს, აღნიშნული უბრალოდ სისტემის მახასიათებელია.
•თუ გამათბობელს გარკვეული პერიოდის განმავლობაში არ გამოიყენებთ, გადაატრიალეთ თერმოსტატის ღილაკი ✷ რეჟიმზე. ამ დროს ალის ნაწილი ჩაქრება, ხოლო ფითილი წვას განაგრძობს.
•გამათბობლის ხელახლა ასანთებად საკმარისია თერმოსტატის ღილაკის სასურველ პოზიციაზე გადატრიალება (მაგალითად 3-4-5)
•როდესაც გსურთ გამორთოთ გამათბობელი, თერმოსტატის ღილაკი დააყენეთ 0-პოზიციაზე, რასაც შეძლებთ მისი საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულებით გადატრიალების საშუალებით. გამათბობელი ჩაქრება.
•თუ ალი რაიმე მიზეზის გამო ჩაქრება, არ უნდა ეცადოთ მის ანთებას, სანამ არ გავა დაახლოებით 3 წუთი
ვენტილატორის მუშაობა (ვენტილატორიანი მოდელებისთვის)
•ვენტილატორის ამუშავებისთვის ჩართეთ ვენტილატორის რეჟიმი „ON" პოზიციის არჩევით. თუ არ გსურთ ვენტილატორის მუშაობა, ასევე შეგიძლიათ გამორთოთ გამომრთველით.
**შენიშვნა:** ჩვენგან რეკომენდირებულია, რომ:
•თუ გსურთ ვენტილატორმა მუდმივად იმუშაოს, იგი გამოიყენებს მეტ ელექტროენერგიას (24 ვატი საათში). ვენტილატორი გეხმარებათ გამათბობელის ერთგვაროვნად გაცხელებაში.

## გაწმენდა და შენარჩუნება

**შენარჩუნება:**

- ყველა პროცესი გამათბობელზე მაშინ უნდა ჩატარდეს, თუ იგი ჩამქრალი ან ცივია
- გაწმინდეთ გამათბობელი რბილი და მშრალი ან ნოტიო ტილოთი როცა იგი ცივია
- შიდა განყოფილებაში არსებული მტვერი უნდა გაიწმინდოს, ხოლო სრული გაწმენდისა და გასუფთავების პროცედურები უნდა ჩატარდეს ავტორიზებული სამსახურის მიერ ორ წელიწადში ერთხელ
- მტვრის წვამ შესაძლოა უსიამოვნო სუნი გამოიწვიოს.

**ყოველკვირეული პროცედურები**

- ვიზუალურად შეამოწმეთ თქვენი გამათბობელის სისტემები - არის თუ არა დარჩენილი რაიმე სახის მასალა, კოროზია ან ნარჩენები საწვავი ნივთიერებებიდან
- გამათბობელის ზედაპირი გაწმინდეთ მშრალი ტილოთი

**ყოველწლიური პროცედურები**

- რეკომენდირებულია აკონტროლოთ შემდეგი ასპექტები ყოველ თბილ სეზონზე:
  – ფითილის გაწმენდა
  – გაზის შესასვლელი არხების, საკვამურისა და მილების გაწმენდა
  – გამათბობელის მთლიანი წმენდა
- შეკეთებისა და შენარჩუნების სამუშაოები ლიცენზირებული ადამიანების ან სამსახურის მიერ უნდა შესრულდეს.

## ტექნიკური მახასიათებლები

| **მოდელი** | | EHS 4000 | | | EHS 5000 | | | EHS 9000 | | | EHS 12000 | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| აზოტის ოქსიდების ლიმიტი | | | | | | | | | | | | | |
| ტიპი | | C11 | | | C11 | | | C11 | | | C11 | | |
| კატეგორია | | II2H3B/P - II2H3P | | | II2H3B/P - II2H3P | | | II2H3B/P - II2H3P | | | II2H3B/P - II2H3P | | |
| გაზის ტიპი | | მოხმარება | ინჟექტორებ | წნევის პარამეტრი | მოხმარება | ინჟექტორებ | წნევის პარამეტრი | მოხმარება | ინჟექტორებ | წნევის პარამეტრი | მოხმარება | ინჟექტორებ | წნევის პარამეტრი |
| | G30 (30) LPG | 0,32 Kg/h | 1,10 მმ | 29 mbar | 0,40 Kg/h | 1,20 მმ | 28 mbar | 0,6 Kg/h | 1,50 მმ | 19 mbar | 0,70 Kg/h | 1,74 მმ | 30 mbar |
| | G30 (37) LPG | 0,32 Kgh | 1,10 მმ | 29 mbar | 0,40 Kg/h | 1,20 მმ | 28 mbar | 0,552 Kg/h | 1,50 მმ | 24 mbar | 0,70 kg/h | 1,74 მმ | 30 mbar |
| | G20 (20) NG | 0,46 m$^3$/h | 1,90 მმ | 9,5 mbar | 0,53 m$^3$/h | 2,00 მმ | 10,5 mbar | 0,73 m$^3$/h | 2,30 მმ | 15 mbar | 0,84 m$^3$/h | 2,8 მმ | 13 mbar |
| სიცხის პარამეტრი (Q) | | 4 kW | | | 5 kW | | | 7,5 kW | | | 10 kW | | |
| არამწველი გაზის დიამეტრი | | 205 mm | | | 205 mm | | | 205 მმ | | | 250 მმ | | |
| წონა (სუფთა) | | | | | | | | 28 კგ | | | 32 კგ | | |
| განზომილებები | | | | | | | | 790x285x630 | | | 1055x290x630 | | |

## სავარაუდო წუნი, გამომწვევი მიზეზები და გადაჭრის გზები

| | |
|---|---|
| 1. თუ პილოტი ცეცხლს არ იღებს | |
| შესაძლოა გამორთული იყოს გაზის ცილინდრის რეგულატორი ან ბუნებრივი გაზის შესასვლელი არხი | ჩართეთ რეგულატორი შესასვლელ არხზე |
| შესაძლოა აირი ამოიწურა | შეცვალეთ გაზის ცილინდრი ახლით (შეამოწმეთ გაზის მიწოდება საპნის ქაფით ცვლილების შემდეგ, რითიც გაიგებთ ჟონავს თუ არა გაზი) |
| შესაძლოა ჩაჭრილია ბუნებრივი აირი | დაუკავშირდით გაზის მომწოდებელ კომპანიას |
| გაზის კონტროლის ღილაკი შესაძლოა გამორთულ პოზიციაზეა | მოაბრუნეთ ღილაკი უფრო მსუბუქ პოზიციაზე, დააკვირდით აინთება თუ არა ცეცხლი. თუ ისევ არ ინთება, გაიმეორეთ იგივე ოპერაცია და ღილაკი „გამორთვის“ პოზიციაზე დააყენეთ |
| პიეზოს ასანთები შესაძლოა არ იყოს დამონტაჟებული პილოტზე | შესაძლოა ვერ მოხდეს ცეცხლის შენარჩუნება თავიდანვე, მითუმეტეს იმ შემთხვევაში, თუ პირველად ანთებთ გაზს ცილინდრის შეცვლის შემდეგ იმიტომ, რომ გაზის არხებში ჰაერია დაგროვებული. ამ შემთხვევაში დააყენეთ ღილაკი პოზიციაზე მანამ, სანამ პილოტში გაზი შემოვა, თუმცა შესაძლოა პიეზოს ასანთებმა ისევ ვერ გამოიწვიოს ცეცხლი. ამ შემთხვევაში ასანთებ მოწყობილობას აქვს პრობლემა. დაუკავშირდით შესაბამის სამსახურს. |
| 2. თუ პილოტი ქრება | |
| გაზის კონტროლის ღილაკი შესაძლოა პოზიციაზე არ იყო საკმარისი დროის მანძილზე | კონტროლის ღილაკი პოზიციაზე 5-10 წამის განმავლობაში გააჩერეთ. |
| შესაძლოა მაღალია თხევადი აირის რეგულატორის წნევა | გაზის ცილინდრის მიერ თხევადი გაზის გამოყენების წნევა უნდა იყოს 300 mmSS (30mbar). თუ სხვა პარამეტრია მითითებული, მაშინ შეცვალეთ და დააყენეთ მითითებული მონაცემი. |
| შესაძლოა მაღალია ბუნებრივი აირის სისტემის წნევა | ბუნებრივი გაზის გამოყენების შემთხვევაში წნევა უნდა იყოს 200 mmSS (20mbar). |
| შესაძლოა რაიმე მიზეზით ჩაკეტილი/დაბლოკილია გამონაბოლქვი აირის მილი | გთხოვთ, შეამოწმოთ გამონაბოლქვი აირის მილი |

## CE სერთიფიკატი



SZUTEST

# EU TYPE EXAMINATION CERTIFICATE
## *AB TİP İNCELEME SERTİFİKASI*

according to 2016/426/EU Gas Appliances Regulation Annex III.1 EU Type Examination
*2016/426/AB Gaz Yakan Cihazlara Dair Yönetmelik EK III.1 AB Tip İncelemesi ( MODÜL B )*

Number: / *Numara:* **2195-GAR-2033901**

| | |
|---|---|
| Owner of Certificate: / *Sertifika Sahibi:* | ERSEL ISITMA ENERJİ SİSTEMLERİ VE EKİPMANLARI EV VE BÜRO GEREÇLERİ SAN. VE TİC. LTD. ŞTİ. *Organize San. Bölgesi 20.Cad. No:66 KAYSERİ* |
| Manufacturer: / *Üretici:* | ERSEL ISITMA ENERJİ SİSTEMLERİ VE EKİPMANLARI EV VE BÜRO GEREÇLERİ SAN. VE TİC. LTD. ŞTİ. *Organize San. Bölgesi 20.Cad. No:66 KAYSERİ* |
| PIN Number: / *PIN Numarası:* | **2195DL78** |
| Products: / *Ürünler:* | GAS FIRED INDEPENDENT CONVECTION HEATERS *GAZ YAKITLI DOĞALGAZ VE LPG SOBALARI* |
| Trademark/s: / *Ticari Markalar:* | ERSEL, FUJİYAMA |
| Type/Model: / *Tip/Model:* | A1 / See Page-2 |
| *Gas Category:* / Gaz Kategorisi: | I2H, I2E, I3+, I3B/P, II2H3+, II2H3B/P, II2E3B/P, II2E3+, |
| *Destination Countries:* / Hedef Ülkeler: | AT-BE-CH-CY-CZ-DE-DK-EE-FI-FR-GB-GR-HR-HU-IT-LT-NL-NO-PL-RO-SE-SI-TR- RS-ME-IR-AZ-GE-RU-UA-DZ-SA-NG-ZA-MA-UZ-LY-LB-SY-JO |
| *Reference Standard(s):* / Referans Standart(lar): | EN 613:2002/A1:2006, EN 437:2018 |
| Base of Certificate: / *Sertifika Dayanağı:* | Final Report No. GARB-820142-FR-01 dated 11-11-2020 / *11-11-2020* tarihli Final Rapor No. *GARB-820142-FR-01* |

Szutest Uygunluk Değerlendirme A.Ş. hereby confirms that the manufacturer of the above mentioned products, has determined, that satisfies the Essential Requirements of Regulation 2016/426/EU of The European Parliament and of the Council of 09 March 2016 relating to Appliances burning gaseous fuels Annex III.1 EU Type Examination.

*Szutest Uygunluk Değerlendirme A.Ş., yukarıda bahsi geçen üreticinin, Avrupa Parlamentosu ve Konseyi 09 Mart 2016 tarihli 2016/426/AB Gaz Yakan Cihazlara Dair Yönetmelik EK-III.1 AB Tip İncelemesi gerekliliklerini ve Temel Emniyet Gerekliliklerini yerine getirdiğini onaylar.*

İstanbul, 04-12-2020
Validity Date / *Geçerlilik Tarihi* : 03-12-2030

MEHMET IŞIKLAR
Genel Müdür
*General Manager*

FR.GAR.17 R.01 1/2

SZUTEST UYGUNLUK DEĞERLENDİRME A.Ş.
Tatlısu Mahallesi, Akif İnan Sk. No:1 Ümraniye 34774 İSTANBUL / TÜRKİYE
Szutest.com.tr

| Number or alphabet / *Rakam veya harf* | Description / Açıklama |
|---|---|
| F or E | ***Trademark*** |
| | F = Fujiyama E = Ersel |
| H or B | **Chimney type** |
| | H = Hermetic type ( C11) |
| | B = with flue kit ( B11BS ) |
| **S** fix | S = Heater |
| Blank / *boşluk* | |
| **14000** or **12000** or **11000** or **9000** or **5000** or **4000** | **Heat Inputs / *Anma ısıl yükleri*** |
| | 14000 = 12 kW |
| | 12000 = 10 kW |
| | 11000 = 9,3 kW |
| | 9000 = 7,5 kW |
| | 5000 = 5 kW |
| | 4000 = 4 kW |
| Nothing or **E** or **K** or **M** | **Series / *Seri ( sadece görünüş farkı )*** |
| | nothing = normal series, E = Elit series |
| | K = Classic series, M = Modern series |
| **F** or nothing | F = operates with fan |
| | nothing = operates without fan |
| **C** or nothing | C = glass window big ( front view ) |
| | nothing = glass window normal |
| Blank / *boşluk* | |
| **B** or **K** or **S** | ***Color / Renk*** |
| | B= white, K = Brown, S = Black |
| **P** or nothing | P = battery powered ignition ( igniter ) |
| | nothing = piezo ignition |

| Destination Countries / *Hedef Ülkeler* | Pressure / *Basınç* ( mbar ) | Category / *Kategori* |
|---|---|---|
| BG-CZ-DK-EE-FI-GR-LV-LT-NO-RO-SE-SI-SK-TR-ES-IE-IT-GB-PT | 20 | $I_{2H}$ |
| AT-CH-BG-CZ-DK-EE-FI-GR-LV-LT-NO-RO-SE-SI-SK-TR-ES-IE-IT-GB-PT | 20 | $I_{2H}$ |
| LU - DE- PL | 20 | $I_{2E}$ |
| RS-ME-IR-AZ-GE-RU-UA-DZ-SA-NG-ZA-MA-UZ-LY-LB-SY-JO | 20 | $I_{2H}$ |
| AT-BE-CH-CY-CZ-DE-DK-EE-FI-FR-GB-GR-HR-HU-IT-LT-NL-NO-PL-RO-SE-SI-TR | 29 / 50 | $I_{3B/P}$ |
| AT-BE-CH-CZ-DE-ES-FR-GB-HR-HU-IE-IT-LT-NL-PL-PT-RO-SI | 37 / 50 | $I_{3P}$ |
| BE-CY-ES-FR-GB-GR-HU-IE-PT | 29 | $I_{3B}$ |
| BE-CH-CY-CZ-ES-FR-GB-GR-IE-IT-LT-PT-SI-TR | 29 / 37 | $I_{3+}$ |
| RS-ME-IR-AZ-GE-RU-UA-DZ-SA-NG-ZA-MA-UZ-LY-LB-SY-JO | 29 / 50 | $I_{3B/P}$ |

FR.GAR.17 R.01 2/2

ersel

ERSEL ISITMA ENERJİ SİSTEMLERİ VE EKİPMANLARI EV VE BÜRO GEREÇLERİ SAN. VE TİC. LTD. ŞTİ.

Organize Sanayi Bölgesi 20. Cadde No: 66
Kayseri / Turkiye
Tel: 0352 322 12 00 Fax: 0352 322 12 03
Http: www.fujiyama.com.tr
E-mail:info@fujiyama.com.tr